დანართი №1

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების პროგრამა.

1. საკვლევი ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №16-ში.
2. საკვლევი ნაგებობა წარმოადგენს რთული კონფიგურაციის შენობას ზომებით გეგმაში 56,0 x 48,0 მ, სიმაღლე 80 მ, სარდაფის ჩაღრმავება 7,0 მ.
3. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების მიზანია შეისწავლოს მოედანზე არსებული გრუნტების მდგომარეობა და მათზე შენობის დაფუძნების შესაძლებლობები.
4. ფუძის გრუნტებზე დატვირთვის გავლენის სფეროს შესწავლის მიზნით და საძირკვლების მდგომარეობის განსაზღვრისათვის საპროექტო შენობის კონტურში გაყვანილ იქნეს 7 ჭაბურღილი, სიღრმით 25 მ-მდე, კლდოვანი გრუნტების გამოუფიტავ ნაწილში 2,0 მ-მდე ჩაღრმავებით.
5. ჭაბურღილიდან ნიმუშები აღებულ იქნეს: თიხურ და ნახევრადკლდოვან გრუნტებში ყოველ 2,0 მ-ის ინტერვალში, კლდოვანი ქანებიდან — ყოველ 1 მ-ის ინტერვალში.
6. ჩატარდეს საცდელი ამოტუმბვები ჭაბურღილებიდან და მოეწყოს პიეზომეტრები.
7. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები განისაღვროს ლაბორატორიული კვლევებით.
8. გეოფიზიკური სამუშაოების ჩატარების შედეგებზე, სეისმური დასკვნის წარმოდგენა.
9. საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე წარმოდგენილ იქნეს გეოტექნიკური ანგარიში, სადაც მოცემული იქნება: ლაბორატორიული კვლევების დოკუმენტაცია, საინჟინრო-გეოლოგიური და ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები, ს.გ.ე-ების მახასიათებლების განსაზღვრა ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე. დასკვნები და რეკომენდაციები საძირკვლის ტიპის და ჩაღრმავების განსაზღვრისთვის.
10. გეოტექნიკური ანგარიშის წარმოდგენილ იქნეს ალბომის სახით ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და ელ-ვერსია 1 კომპაქტ დისკი.